ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიმართვა საქართველოს სამოქალაქო საზოგედოებას, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებს

პატივცემულო მეგობრებო და კოლეგებო,

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ შეიარაღებულ კონფლიქტებთან მიმართებაში ჩამოყალიბდა ორი გამოკვეთილი აზრი. პირველი აზრის მომხრეები თვლიან რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი მიაღწევენ დამოუკიდებლობას, და ამიტომ მისასალმებელია მათი აღიარება როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო დონეებზე. მაგალითად, მათი აზრით, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის სამოქალაქო ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო პროგრამებში (ევროკავშირის პროგრამებში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში და ა.შ.)

მეორე აზრის მომხრეები თვლიან, რომ სეცესსიონიზმი არის დანაშაული, მით უმეტეს, როდესაც ამ ტერიტორიებიდან გამოდევნილია მშვიდობიანი მოსახლეობა, რომელიც დღეს დისკრიმინირებულია და ღირსება შელახულია. პრო-სეცესსიონისტური ორგანიზაციების მონაწილეობა საერთაშორისო პროგრამებში მათთვის დაუშვებელია.

ამ ინტერესტთა ჯგუფების ლობისტების უხეშმა დაპირისპირებამ უკიდურესათ დაძაბა მდგომარეობა სამშვიდობო პროცესში და 20 წლის განმავლობაში გადააქცია ეს პროცესი კვაზისამშვიდობო პროცესათ. წყალში გადაიყარა მილიონობით დოლარი.

ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი მოითხოვს რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში იყოს გათვალისწინებული დემოკრატიის და ჰუმანიზმის ძირითადი პრინციპები. საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეს ყველას, როგორც სეცესსიონისტებს, ისე - უნიონისტებს.

გამომდინარე აქედან, ჩვენი აზრით დაუშვებელია რომელიმე პრო-სეცცესიონისტური სამოქალაქო ორგანიზაციის მონაწილეობის მიღების ბლოკირება ამ პროცესებში, ისევე როგორც დაუშვებელია იგივე პირობებით და იგივე სტატუსით პრო-იუნიონისტური (გამოყოფის მოწინაამღდეგე) ორგანიზაციების მონაწილეობა ამ პროცესებში.

ნათლად ჩანს რომ როგორც აფხაზეთის, ისე სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა გახლეჩილია ორ ძირითად ნაწილად - გამოყოფის მომხრეებად და ტერიტორიული მთლიანობის მომხრეებათ. არსებობს ორი სოხუმი. არსებობს ორი ცხინვალი.

თუ ვინმეს აქვს სურვილი ხელი შეუწყოს ამ რეგიონში სტრატეგიული მშვიდობის დამყარებას, მოგიწოდებთ რომ აღიაროთ რეალური მდგომარეობა.

აფხაზაეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური (!) ნიშნით გახლეჩილი მოსახლეობის რეინტეგრაცია არის საფუძველი ამ კონფლიქტების მოგვარების.

ეს არის ერთად ერთი მშვიდობიანი სტრატეგია. და ვინც დაუპისპირდება ამ სტრატეგიას, მათ დაუპირისპირდებით ჩვენ.

ჰმა სეკ-ის კოორდინატორი საქართველოში - ალექსანდრე რუსეცკი